გამოცემა კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიისა № 48

45
J76613
2

... რამდენიმე ლექსნი

ანდრო

უჩანეიშვილისა

ნეტარმცა კიეო შემძლე აქმი,
მოქმე სამყარსა ვუკურნო წყლული;
მტრისგან დაჩაგრულს ცრემლი შეეაშრო
და მის სანაცვლოდ მე ვიეო ერული!..

Ново-Сенаки
Типографія К. Таварткиладзе
1895

გამოცემა კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიისა № 48

რამდენიმე ლექსნი

ანდრო

უჩანეიშვილისა

ნეტარმცა ვიყო შემძლე აქიმი,
მოძმე სავაყარსა ვუკურნი წყლულსა;
მტრისგან დაჩაგრულს ცრემლი შეგაშრო
და მის სანაცვლოდ მე ვიყო ტრულ!..

Ново-Сенаки
Типографія К. Таварткиладзе
1895

Дозволено цензурою Тифл. 15 Іюня 1895 г.

ვუძღვნი

ჯოჯი ნიკოლოზის ძეს

დ ა დ ი ა ნ ს

პეტრი.

კ ა ლ ა მ ს

შენ, ჩემო ფრთისა კალამო!
შენა ხარ ძალა სულისა,
შენა ხარ სევდის მალამო
მაკურნებელი წყლულისა,
წარსულის მომგონებელო,
ლომ-გმირო დაჩაგრულისა,
მტერთა ლახვრისა დამცემო,
ტრფიალო სიყვარულისა
შენა ხარ ბუკი ნაღარა,
მოძმეთა დაფანტულისა,
სამშობლოს შემამკობელი:
ზერ მკრთალის დაცემულისა,
ილვა ხარ—ზეხის მტყორცნელი
ბრბოს დროშა ამართულისა,
და სათნო მღერალი ჩანგის,
ერთობის სიყვარულისა...

შავი ფიქრები

რა ფიქრებია? მქენჯნის მაწვალებს,
ტკბილსა ოცნებას ნაღველში ლესავს
და სხივოსანსა გულ აღფრთოვნებულს,
შავის სუდრითა რო შემიმოსავს?

რამ გამიქარწყლა გმირული ფიქრი
წრფელი ზრახვანი რო ჩერდებიან?
და იმედების გროვათა გუნდი
ჭმუნვის მახვილად გულში მხდებიან!

ნორჩი ფიქალი გულის კლდისაგან
ნაღველის წყარო მოჩუხჩუხობენ,
ხასიყვარულო ბასრი მახვილსა
მოუხმარებლად მიჩლუნგუნებენ.

ხევდა და ჭმუნვას არ აქვს საზღვარი;
შავსა ფიქრებსა თან ემატება;
ტანჯვის ძაფისგან შეხლართული ვარ
და სიამისა სიმები წყდება....

ბანა თუ იმას ვერ მოვესწრები,
რო ვერა ვსჭრეტდე გაწბილებასა?!
შავის ფიქრების მაგივრად ეტრფობდე
მოძმე ტანჯულის ნეტარებასა!

ო რ ი დ რ ო

I

Სანამ სოფელსა მე გავიცნობდი,
ვიყავი წრფელი და უდარდელი.
ვიცოდ ბეჭელა ყვავილს ვეკლოდი
ბრფობით აღსილი განუსაზღვრელი.

ასე მეგონა, მთელი ქვეყანა
ჩემდა საამოთ მომზადებულან:
ტყენი და ველნი ყვავილოვანნი
ლხენის მიზეზათ ამწკანებულან.

ჩემსა ნორჩს გულში ვარდი ჰყვაოდა
და უმეჯლისოდ ვიყავი მთვრალი,
სიამის გროვა ბურთადა მქონდა,
შმანკო ვიყავ და დაუმზრალი.

ვნებიერობდი განცხრომით, შვებით,
ხურვილი ფიქრსა ეთანხმებოდა;
ერთ-წამის ქმუნვას გული დაძლევდა
ტრფიალ-ოცნებას ეკონებოდა.

II

მაგრამ ოცნებას ფრთა შეეკვეცა;
დასჭკნდა ყვავილი ის მშვენიერი;
რაც მახარებდა იგი მამწარებს:
მხედავ არა ვარ ის ბედნიერი!

ბულბულის სტვენა გულს ვერ მიამებს,
დაცლილი არის ლხენის ფიალა.
თვალიც მინისლდა, მიბნედილია;
არ ვარ მალხაზი და არც ცქრიალა!

სოფელს არ ვეტრფი ჩვეულებრივად,
არ ვიც რას ფიქრობს გული მწუხარე?
ხალხში ვერევი მოწყენილ სახით;
დავდივარ ჩემთვის მარტოდ მდუმარე!

არ ჩქეფს ნაკადი სიყვარულისა;
ფიქრი ნადველში გალესილია.
სურვილი ხარბი ყოვლის მდომელი
მძლავრის ხელითა დაკეტილია!..

მ ე გ ო ბ ა რ ს

(შიბაძგა მ. გურიელისა)

Ადამის შვილო სახეში გქონდეს:
შენთვის შემკულან ცანი და ბარნი,
მაგრამ ფიქრისგან არ განიშორო
ძმა, ამხანაგი და მეგობარი!

Იქნებ შემთხვევით შენ კი ამაღლდი,
წუთის სოფელში გახდი მდიდარი,
სიმდიდრეს უფრო უნდა გიყვარდეს:
ძმა, ამხანაგი და მეგობარი.

შენთან ლხინია ტრფობით ცხოვრება;
ბიმღერს მგოსანი განცხრომით თარი,
ესე სიამე გლოვის ზარია,
თუმც კი არ გიყვარს ძმა, მეგობარი.

საზღვართა გარე მეფობდე ლხენით,
მტერიც იქმნება შენ შემკობარი,
ალერსი ესე დღიური არის,
უფროს გიყვარდეს ძმა, მეგობარი.

იქნებ სოფელმა მოგმართა რისხვით,
ბასვა ნაღველი, შხამი და მწარი,
იმ დროსა მოვა გიშველის შენი
ძმა, ამხანაგი და მეგობარი.

ოქრო სიმდიდრეს, აფლა დიდებას,
ხიკვდილის უმალ წაიღებს ქარი;
თესლსა წრფელურსა პატიოსნურსა
შეამკობს ერი და მეგობარი.

ერთ წამ სიამეს ნულარა ეტრფი,
ნაფიქრდი, იყავ მშვიდი და წყნარი,
ნაგრულთა ჰირი გაიზიარე,
ძვეყნის იქნები ძმა, მეგობარი.

უკუნისადმი ალარ გაქრება,
ჰარგი ნამუსის ნამოქმედარი,
შენ კი ლეში ხარ, იქკევი მიწათ,
ბიყვარდეს ისევ ძმა—მეგობარი.

ფუ! მის კაცობას და მის სიმდიდრეს,
ოცხალი არის, სჩანს ვითა მკვდარი;
ჰირში თაფლია, გულში შხამია
და არა უყვარს ძმა, — მეგობარი.

***

ქედიდარსა ვხედავ ღარიბად,
ღარიბი გამდიდრებულა;
მტყუანსა ვხედავ მართლადა,
მართალი გამტყუნებულა.
ემას არ უქებ ქველობას,
მინც ცარცვით ამაღლებულა,
მაქებ სამშობლოს მოყვარეს,
მოძმისთვის ტანჯულ-ვნებულა.

გაიხარეო

რამ გამახაროს, ცრუსა საწუთროს?
ბაუმაძლარნი, სულ მ'მიერია,
რაც რო გამდიდრდეს მაინც მრუშობენ
მას არ ფიქრობენ კაცი მტვერია!..

რამ გამახაროს? სადაც ძმა, ძმას მტრობს!
ძმური თვისება დატემულია,
პირად—მღიმარი და მოალერსე,
ბულში კი მტრობა დაფარულია!

რამ გამახაროს? სადაც სიხარბით,
სხვისი შემჩერეს თვისი ებნევა;
ბოლოს უპურო ულუკმო რჩება,
და ნამუსიც კი თან წაუგია!

რამ გამახაროს? სიყვარულს ადგილს,
მტრობა და შური ისახებიან,
თუმც ერთ დღეს ოდნავ სიამეს ვნახავ,
მერმედ თვიურათ მიმწარდებიან..

რამ გამახაროს? ვხედავ მტრობისა,
ძვიტკირის სახლი აგებულია!
და სიყვარულის ხისა ოდები,
სიმრუდ—სიხარბით დანგრეულია.

მე გამახარებს, არა სიხარბე,—
ჯკუის და შრომის ნამოქმედარი,
თავის საქმესა დროზედ მორწყავდეს,
და ოფლის ღვრითა იყონ მდიდარი...

ჩემ სატრფიალო, მხოლოდ შენა ხარ,
ტურფათ მორთულო, სახე მზიანო,
ჩემის ბუნების მძლავრო მხიბლავო,
ბულის ყვავილო გუნდრუკიანო.
შენ გეტრფი მარად: მსურს დაგემონო;
ბალოსანო და ბულბულიანო,
მქუხარე წყრომა ლიმილი ტკბილი,
ბნელში მნათობო თვალებიანო,
უკვდავთ ხელისგან გადახატულო,
ანდამანტიურ ხალებიანო,
შვენების მეფად დაბადებულო,
მზის სხივის მტყორცნო და მეხიანო,
მხოლოდ დროებით ფერით შეცვლილო,
წინაპრიდ გმირო, გულით კლდიანო,

გ უ ლ ს

ეენ, ჩემო გულო, რას დაღვრემილხარ?
არ გამოგცვალოს აწმყო დროებამ,
მაშვინ გამხნევდი, მტერი გებრძოდეს;
და არ შეგცვალოს მტრისა მონებამ?

ამხნევდი გულო, მომავალ დროზე,
აწმყოს ხომ ხედავ დაცემულია!
შეძლების გვარად მას მოეხმარე,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია?

რაც რო გიჭირდეს, ქედს ნუ მოიხრი,
მაინც გაკაფე გზები სწორადა,
ხთქვი რაც საჭირობს სისწორისათვის
თუ უნდ გაგაპონ შვაში ორადა!..

მოძმეებს

Rოდესაც ვგრძნობდი მოძმის ტკივილსა
და მათდა შველას ვეწაფებოდი:
მათზედ მომდგარსა ჭირსა ვაებას,
ჩემ ძალი-ღონით შევაკვდებოდი.

მაშვინ მოძმენი გაიძახოდნენ
ერთობ ჩემს სახელს აღტაცებული,
ბმირათ მამკობდნენ ნაირის ქცევით:
ბრძენი, მდიდარი, გლახა, სნეული.

მძლია ზვარაკი სოფლის ტალღებმა
და ქვეშ მომიგდეს ღონე მიხდილი;
იმ დროს კი ყველა განზე გამიდგა,
ულვაშ ქვეშ იწყეს ყველამ სიცილი.

მთლად რო გამიშრა ცხოვრების წყარო,
საფლავის კარსა ხელი მიწვდინეს,
მაგრამ მკვდარი კი ვერ გამაცოცხლეს,
ბმირი, საქები მწირათ იხილეს!

ეხედავ მოძმისა ფარისევლობას,
გულით არ უნდა, მის მეტი გახთე,
და ის კი ძრიელ გაუხარდებათ,
თუ კარგი იყავ და ბოლოს წახთე.

იმ დროს უყვარხარ ზოგიერთებსა,
თუმც შიშით ცრემლი დაედინება,
ძება ალერსსა იმ დროს დაგიწყებს
შენგნით თუმც რამე მოიწველება.

ეროვნული
ილია ჭავჭავაძის
ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფია

***

Ღმერთო! ამრავლე გმირები,
ტანჯულთა გამომხსნელია!
მშვიდობა ქვეყნად დამყარდეს;
უშიშრად ელიდეს შველია,
გაწყდნენ მსუნაგი და მავნე:
დათვი, ტურა და მგელია.
იელვოს, მეხი დაეცეს,
ვინც მოძმის დამჩაგვრელია.
გაშავდეს კაცი ბოროტი,
უკულმართობის მქნელია.
ტანჯული მოძმე არ იყოს,
გაშლილი ჰქონდეს ხელია,
გამრავლდეს ჩვენში გმირები,
ვინც პირდა პირი მთქმელია,
ჩაგრულს იმედით ამხნევებს,
მტრის გულის გამპობელია!...

უძღვნი. მ. კ.

Ობლად შევყურებ მთელს არე მარეს
და ჩემს მომავალს ნეტარს დროებას,
მაგრამ სანამდინ მკერდ გული მიძგერს,
ვკიცხავ და დავგმობ ამაოებას.

მაღალსა ვხედავ დაბალსა სთელავს,
და მე შევყურებ დაობლებული,
ოჰ! ნეტავ იყოს ყველა ერთ-გული:
დიდ სულოვნობით დაბადებული!....

მე კი ჩემის მხრით ჩემს სასოებას,
საფლავ კარამდის არ მოვშორდები.
მუდამ მოთქმაში თვალ ცრემლიანი,
ჩემს ტურფა მამულს ვესასოები.

ნეტარმცა ვიყო შემძლე, აქიმი,
მოძმე საპყარსა ეუკურნო წყლული;
მტრისგან დაჩაგრულს ცრემლი შევაშრო
და მათ სანაცვალოდ მე ვიყო კრული!...

ფარისეველს

ნუ შემიყვარებ, თუ მომიძულებ!
ოარგვარათა, გთხოვ თავს ნუ მაჩვენებ!
ზიზღით მიყურე პირველიდანა,
მხიბლავის ქცევით ნულარ მაწყლულებ!

ნულარ დამატკბობ გველური ჩანგით,
და გვერდზე ლალუმს ნულარ მიკეთებ,
და თუ დაქანცულს შენ მე მომასწრო,
მტარვალ-ძლეული ხარხარს ნუ მიწყებ!

ბულის ბაღჩაში ნულარ მითესავ,
წიწაქის მზგავსსა მწარე მცენარეს;
ისეც მეყოფა ურგებ ბალახით
მოფენილი მაქეს გული მწუხარეს!..

ნულარ მიკიცხავ სპეტაკსა ფიქრებს,
მარადის ჩემის გულის ერთ გულებს,
ვერ დამიმონებ იცოდე ვერა!..
ვერ აღმომიფხვრი ჩემსა იმედებს.

ფარისეველური ცბიერობითა
ვცლარ მოხიბლავ არე მარესა,
და შენი ხმალი ბოროტებისა
თვით შენ მოგმართავს, გასმევს მწარესა....

ესტ. ნად. ლოდზედ

ლოდის ქვეშე ეფარები,
ბრძნობით სავსე ნიჭიერი,
დაჩაგრულის თანა მოძმე,
სულ მაღალი, ხეთის-ნიერი.

მოძმის ჭირი, შენად გიჩნდა,
მით სოფელმა გასვა მწარე,
საუკუნოთ განისვენე,
იმ სოფელში გაიხარე!

სულს კურთხევას შემოგწირავს,
ნაცნობი და მთელი ერი,
აქა კაცნი გიმადლოდნენ,
იქ ღმერთი გუაეს მადლიერი.

1894 წ. 30 ივლის აბაშა

ნ. ქ.

ნედავ, რა რიგათ წახთა დროება?
ძმა ძმის მტერია, არარის სწორი,
ერთ წამ სიამეს ეტრფის ქვეყანა
საკვირველია, ძმაო ნესტორი!

ჩაცი ვართ, ვმეფობთ ყოველ სულიერს,
მტრობას დავეცეთ ვითარცა ქორი
რამ შეგვაშინა, რამ შეგვაჩერა?!
საკვირველია, ძმაო. ნესტორი!

ძმისა ღალატით ოქროს პატრონობს,
გულში ამაყობს, ვით სუქან ღორი,
თავ მოყვარობას რათ არ ვანანებთ?
საკვირველია. ძმაო ნესტორი!

ძმა მეგობრობა ენის წვერში აქვს,
გულში მყრალია, ვითარცა მძორი,
რათ არა ვიცხავთ მათ საერთოთ!
საკვირველია, ძმაო ნესტორი'

ნულარ გვეხარბის რომ მდიდარია,
და აფრინდება ის მაღლა შორი,
პატიოსნებით ვინც ღარიბია
ვ ერცხლვერ ამდიდრებს, ძმაო ნესტორი!...

1893-წ სექტ 15.

ქალებს.

ქალო, ტურფა ხარ სახითა,
სიტყვა ნაზი გაქვს, წყნარია,
ზოგს ართობ, ზოგსა აამებ,
ზოგ შენგნით ჩამომხმარია.
თუმცა გსურს, აყვავილებ,
თუ არ, ყვითლდება მჭკნარია,
ძლდიანი გულის მეფა ხარ;
ბმორჩილობს მთა და ბარია.
ვისც ემოყვრები, ალომებ,
ვისც არა მუშტი-ფრთხალია.
ქალო! რამდენად ტკბილი ხარ;
უფრო კი მეტი მწარია!
თვალ მაქცი მახვილიან ხარ,
ბრძენისა შესადარია,
მხოლოდ მაწუხებს, ტურფაო!
ტკბილს მწარი რაღამ გარია?
ვიც თქვენი საქმე რაც არი:
ჩანგი, დაირა, თარია.

უძღვნი ბ. დ.

Ურ პირობამ და სიხარბემ
აგვაოხრა, დაგვანელა,
სიმართლისა ანთებული,
მით წყვდიადი, დააბნელა.

დაგვეკარგა მართლ მსჯელობა,
დაშხამულა მთა და ბარი;
ერთმანეთის მტრობა-შურით,
ძმაყოფილ ვართ გამაძღარი.

ძმური სიტყვა აღარ ისმის,
ეადობით ვართ გამსქვალული
და ბოროტი მავნე დროშა,
ყოველ წამს გვაქვს ამართული.

ძმა-ძმას მტრობას უპირდება,
ლანძღვა ისმის და გინება,
ჩვენი ნადვილ მნიშვნელობა,
მხოლოდ არის ამაყობა.

ვაჟ-კაცობა დამარხულა,
და საწყლებთან ვართ გულადი,
ვინც ღალატით ოქროსა ფლობს,
ის არის ჩვენი ბელადი.

ენის წვერით ავაშენებთ
მეგობრულად ქვიტკირებსა,
და შინაგან გამოთქმაში
ბადავბუგავთ ხის სახლებსა.

აბ მსურს, ძმაო, გავიგონო:
სიტყვა მწარი-შხამიანი,
ჩემი თავიც თვით შემძულდა,
ბევრი სხვაც ადამიანი.

გულის ბალჩა

ბულის ბალჩა მსურს გაგიღო,
და გაჩვენო იქ შვენება,
სიყვარულის მზე კაშკაშობს,
რომელიცა არ ბნელდება.
მგოსნურია იქა ძალა,
დიდებული ხელოვნობა,
სიყვარულის ფალკოტია,
საამური სურნელობა,
ვინც არა მსურს მზე ფნათობი,
მისთვის ბნელად შეიცვლება
სიყვარულო, გრძნობით ჩამო,
იქა ჩანგი დაგიხვდება,
აეწყობა მას სიმები,
რო გიმღეროს მოძმის შვება.

საფლავის ლოდზედ

ეოვშორდი მზის ელვარებას:
ხიკვდილმა გამკრა ბრჭყალები!
ცოლ შვილნი წვრილი დამირჩა,
ობოლნი შესაბრალები.

სიკვდილო! ულმობელი ხარ,
არა-ვინ შეგებრალება,
და შენი ტანჯვის მახვილსა,
ხორც შესხმულ ვერ ემალება.

ესე საწუთრო უნდობი,
ვერავის ველარ შერჩება,
ლეშის ლალობა, ტრფიალი,
ქაცო, სულს აღარ ერგება!

ახალ გაზდა მეგობარს

�giხვთი, რაც რო ყოფილხარ,
ან რა გაქვს ტრფობის საგანი:
ბაღში, ქალებთან ლომი ხარ,
მტერთან კი ფრთხალი-ჯაბანი,

„ავალერობა“ ქალების
დიდი საქმენი გგონია;
თვით გულში, ისე ამაყობ,
ვით ქვეყნის მოსაწონია.

ვითომ და მათი სარდლობა,
ღვთისგან გაქვს მონიჭებული;
მაგრა, ჯერ კიდევ ნორჩი ხარ,
დარჩები მოტყუებული.

დიპლომატური სიტყვები
სახიბლავად გაქვს შემკული,
და ნარი თამაშობაში,
ფეხის პარტყუნი ლეკური.

სუფრა გაშლილი უშრომლათ.
სმა ჭამა შენი წესია.
მას კი არ ფიქრობ, საიდან
ვის უხნავს, ვის უთესია?

ნატვრა

Ეწვანე მდელოზედ ქართველურადა,
მიჯდეს მე გვერდით ამხანაგები,
ზედ დამყუროდეს ვარსკლავთა გუნდი,
ვითა ქართველთა ქალის თვალები.

Იქა მეზურნე შორს ჭიკყინეტდეს,
ხან სევდიანად გამოკენესოდეს
და მედოლენი ლეკურის კვრითა,
დავლურისნარით გამომივლიდეს.

Ღვინო ყანწითა ხელში მეჭიროს
და ვადღეგრძელო ქართველი ერი,
ბოლოს ტკბილადა სამშობლო ხმითა,
არა ცხრებოდეს მრავალ-ჟამიერი.

Არაბთ ცხენები გვერდით დგომილნი,
ტორის ცემითა ომსა ელოდეს,
ტრფობის-ღიმილი ბაიათ-წივილი
ძეთილ დღეობას მექადებოდეს.

Ძლეეა მოსილი მტრის ბანაკიდან,
ამაყის ქცევით სატრფოსკენ ვლიდე.
სატრფო სიხარულთ აღჰფრთოვნებული,
მომეალერსოს ცოცხალსა კიდე.

* *

სატრფოს

Ქარად ჩემთვის საოცნებო!
აღგიწერო სიტურფენი,
ერის კრძალვით სატრფიალო,
მნათი სახე, შუქთ მომფენი.

ვინც შენს ტრფობას ხელი მიყოს
უნათებდე არე მარეს.
ბულს ეცეს ტრფობის ლახვარი,
და მიეცეს ტანჯვას მწარეს.

ეგრემც შენთვის აღგზნებული,
შენს შვენებას ვემონები:
ბულს მეგზნება ცეცხლი მწველი,
დიდის ხნიდან მონაგები.

შვა დღის მზისა პაპანება,
ვით ვარდს აჭკნობს ფერს უმკრთალებს,
თუ არ ეცა ჩრდილით შვება,
თეალ საჩინოდ მოგვაშორებს.

Ეგრეთ შენის სიყვარულის
შუქი ჩემს თავს შენ გიმონებს.
და შენ გარდა ჩემის წყლულის
განკურნებას ვერ ვინ შეძლებს!

შენგან წყარო: სიტკბოების
წყლულსა მომხთეს განსაკურნად
ტანჯვას ჩემის ვაჟ-კაცობის,
მომაშორებს მე ის სრულად.

ღირს მყავ მე-შენ გემსახურო!
შენ წალკოტის არე მარეს.
ჰვრეტა შენი არ მომაკლო,
თუ გინდ ვეგდო მე სამარეს.

ᲛᲐᲛᲣᲚᲡ

ᲕᲔ, მამულო, საყვარელო,
შენ ხარ ჩემი ბედის წერა;
არ მსურს ენა ვატიკტიკო,
გულით ვიყო ალმაცერა.

ჩავფიქრდები თუ არ, უმალ
ილმერთ-ხატებ თვალის წინა
შენ ხარ ის სატრფო, სამშობლო,
წარსულ მომავალის ბინა!...

რაღათ მინდა მე უშენოდ,
ვიყო ბრძენი, ან მდიდარი?
ან მეფობაც რო მიბოძონ,
არ ვიქნები მაინც მტკბარი.

თუ გინდ ბედმა მთლათ გამრისხოს,
როს გიგონებ მიქარწყლდება,
წუთის სოფელს მოთქმით გავლევ,
მით მკდარს მქონდეს მოსვენება.

გაზაფხული

Ქთის სამეფოს არ მძვინვარებს
ᲨᲘᲜᲣᲚᲘ და მწვავი თოვლი.
მის ტახტის ქვეშ ამოსულან,
Ია ნაზი, მწვანე მოლი.

სად ზუოდა ბრაზი ქარი,
Იქ ჩურჩულებს ნელი სიო;
ᲗᲥᲔᲘ, ველს ესაუბრება:
„ᲰᲔ ᲯᲔᲯᲘᲚᲝ აყვავდიო“.

Გახარებული ჩიტები
Იმღერიან ძილის-პირსა,
მაგრამ ᲰᲐᲜᲒᲖᲔᲓ ვარჩევ მწᲐᲠᲔᲡ,
Ვით ᲭᲘᲠᲘᲡᲣᲤᲚᲘᲡ ღიმილსა.

ᲯᲔᲠ ᲑᲣᲚᲑᲣᲚᲘ არსად არ სჩანს
ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ ᲩᲔᲜᲘᲡ ლხინის,
მხოლოდ შაშვი გლოვის ხმითა,
მაღლა ცაში ღმერთს შესტირის.

Არა მინამ აღარ ვიტყვი,
თუ არ მეფობს გაზაფხული,
სანამდი არ გაიშლება,
ის ყვავილი დაფარული.

ჩემო, ტურფავ გაზაფხულო!
გულს წყურიან შენი ქება,
ვნახოთ შენის კვირტებისგან
რა ყვავილი გაიშლება?!

***

ვაი, დავკარგე, რწმენა, იმედი,
არ მასვენებენ მუდამ ტანჯვები;
ოჰ! შენა გულო ზღვისა სიღრმეო!
სადღა გეტევა ესდენ დარდები?!

ტანჯულსა, ტანჯვა აღარ მელევა,
მტრისა მონება მერთვის ჭირზედა!
და ამოკვნესას ვეღარა ვბედავ,
ხელს მაფარებენ მართალს პირზედა.

ბიცან რაც რო ხარ, წუთის სოფელო!
ვის მძლავრად ხედავ, იმას მსახურებ,
ჩემებრ დაცემულს ბოლოს მოუღებ:
არ შეიბრალებ ტანჯავ, ატირებ.

მე, სუსტ არსებამ, ვის მივეკედლო?
იმედათ ჩემთვის, რომ ვერა ვხედავ.
მაგრამ ენაო, სევდის მფანტველო,
ოდნავ სიამეს შენ მომიკრეფავ!...

გლეხის-ჩივილი

ბ ლეხი ვარ ბედით ჩაგრული,
დროებით დაცემულია,
ნდომა და წმინდა ზრახვანი,
თან დამდევს, როგორც ჩრდილია.
ძვნესა, ტანჯვა და წუხილი
ბულში მაქვს ჩანერგილია,
ჩემის საკვების მასალა,
თოხი, ნაჯახი ცულია.
ცოლ-შვილი დამყავს მორთული:
ძონძებში გახვეულია.
ჩემებრ ტანჯულო მოძმენო!
ისმინე ჩემი თქმულია:
იქნებ სწავლამან განკურნოს,
ეს უკურნელი წყლულია.
სწავლა გიყვარდეს მნათობი,
დიდების დროშა სრულია.

ა კ ა კ ი ს

ბული კი ზღვაზე ულრმესი,
რითმები დაულეველი,
ენა მაისის მანანა,
მკურნავ მალამოს მპოველი.

ენა ხან ტკბილი, ხან მწარე,
ძუშაკი გამბედოვანი,
ბრბოს გუნდის მეხის მტყორცნელი,
მგოსანი სახელოვანი.

ეყაე მარადის პოეტო,
ციური ჭანგის მღერალი,
მომლოდინეო დიდების
რკინის ფიცარზე მწერალი...

ხ. კარბეთი 1893 წ. 7 მარტს.

სოფლის მდურავა

ჩანგურზედ სამღერალი

ზემდური მისთვის სოფელო,
მინაღვლიანებ ბუნებას,
ერთ-ხელაც ვერ შედგიმილხარ,
წყლულიან გულის კურნებას.
ვიცი რაც ხარ,
ცრუ რამა ხარ,
მატყუარავ, ცრუ სოფელო შენ...

ბიგულებდი ღმერთად ხატად.
ვერ მაღირსე ნეტარება
ერთ-გულ ყრმასა ლხენის წილად
მომანიქე ჭმუნვარება.
არც გენდობი,
არც გეყმობი,
მატყუარავ, ცრუ სოფელო შენ...,

ბევრს ალხენ, ანეტარებ,
მე კი მრისხავ და მიწყრები,

Ოცნებაში ნაღველს მირეე,
Თავს მეხვევან შავ ფიქრები.
Სხვის ერთგულო,
ჩემ ორგულო,
მატყუარავ ცრუ სოფელო შენ...

პოეტები თავსა გწირავს,
ვითა ვარდსა ბულბულები,
ნაგრამ ერთ-გულს უფრო სტანჯავ,
ბიყვარს ორ-პირ ორ-გულები.
Დიდ ბატონო,
მრუდ ამწონო,
მატყუარავ ცრუ სოფელო შენ...

ზოგს შეამკობ მრავალ ფერით,
ზოგსა ეტყვი: „იტანჯეო“
მდიდარსა კი გამდიდრდიო,
ღარიბო, შენ, ოფლ ღვარეო...
Ეკლიანო,
ბულქვიანო,
მატყუარავ, ცრუ სოფელო შენ...

ვიცი, მასაც ვერ შეარჩენ
ვინც ყმაყოფილ არის ბედით,

მიტომა გულს რო არ ეიტეხ
ბაკალს დავსცვლი ალავერდით...
ულმობელო,
უნდობელო,
მატყუარაე ცრუ სოფელო შენ...

*
* *

ვრთხალი გმირი რას გეივარგა?
ტანჯვას ბედს რო აბრალებდეს,
უკაფავსა გზა უალსა,
ჯაბნად თავსა ანებებდეს,
მაქებ კაცსა გულოვანს,
ძმის ჭირ ხთომილსა ებრძოდეს,
ლეშ შესხმული გაფოლადდეს,
მტერს პირ და პირ ამაყობდეს....

ჩემს ბედს

ბედო რას წყრები ტიალავ!
ხელს რო არ მაძლევ ძმურადა,
ბანა ისეც კი არ მყოფნის,
ტანჯვა მაქვს სამსახურადა?!

აღზდექ, ორგულო ნუ გძინავს!
დამიფრთხე გულში ვარამი,
და შენ ხვედრს წილსა ობოლსა,
მომეცი შეების სალამი!

ბანა მე შენ გთხოვ დიდებას?
ან ვიყო მძლევია მძლევია?
არა, მე მინდა განვკურნო,
ვინც შხამის დანალ ევია.

შენს მოყვარესა ბევრს ვხედავ,
ცხოვრება უადვილდება,
და მე კი ობოლ-ბედ კრულსა
სურვილი გულში მიკვდება!...

და შენ მას ეტრფი ვისაც რომ
შყვარს ღვინო და ქალები,
და მე კი მოძმის მოსაყსა,
სველი მაქვს ცრემლით თვალები.

მაგრამ დრო არის მომხედო,
გამოახილო თვალები!
ჩაგრულსა მამულის შვილსა,
არ სჩხვლეტდეს მტრისა ბრჭყალები!

ჯერ კიდევ ახალ გაზდა ვარ,
გული გრძნობს ნეტარებასა!
ჯერ საჭირო ვარ მუშაკი,
ვებრძოლო ბოროტებასა....

1894 წ. 15 აპრილს ს. ზანაში.

დიმ. ეი. ლოდზედ

Სათნო გულისა და საყვარელი
არის მუდმივად აქა მწოლარე,
ვის გულის აზრი ლამპარი იყო,
იმას გვიჩვენებს შავი სამარე.

და ვინც სიცოცხლე შეუბღავლელად,
შეუმწიკვნელად შენებრ შერჩება.
აქ მოიგონებს მომავალი დგმა.
იქ ღირს მამებთან ბინა ექნება.

მშვიდობით, ძმაო, მოძმის ერთგულო,
აქ მარად რჩება შენი ხსენება,
წუთის სოფელში მოკლე ხანისავ,
იქ აბრამთ წიაღთ განგესვენება.

უძღვნი ქალწულებს

Მტრედებსავით უმანკო ხართ,
ჯერ სოფლისგან დაუმზრალი
ყველას უცქერთ მშობელსავით,
არ გიღვივის ნაპერწკალი.

ვით პეპელა დასტრფიალებთ,
ყვავილოვან არე მარეს,
ტკბილ ოცნების მიჯნური ხართ,
ემგზავსები მზე და მთვარეს.

მაგრამ იცი ჩემო მტრედო;
ბაიცანი წუთ სოფელი,
ჯერ გიღიმის და ბოლოს-კი,
ცრემლს მოგიძღვნის უნდობელი.

ყოველ ქალწულს ვალად აძევს,
ჭკუით თავი დაიფაროს,
თუ კი უნდა ცხოვრებაში
ბოლოს აღარ გაიმწაროს.

მხიბლავები გაგიჩნდება,
ტკბილი სიტყვის მოუბარი,
მაგრამ თუ მას დაუჯერე,
ხთები სათამაშო შარი!..

ბამოკითხე გამოტანა,
თუ გყავს მამა, ან მშობელი,
დაგარიგებს მშობლიურად,
მით დარჩები უვნებელი.

თუ მე მკითხავთ ბევრ მინახავს
თავის ბედის მომდურავი,
მაგრამ კარგათ ვერ შესცვალა
თან დაერთო ავზედ ავი.

1895 წლის მარტიდან

მეურნეობის, კეკონომიის (მოშჭირნეობის)
ვაჭრობისა და მრეწველობის
ჰიგიენის (ჯანმრთელობის დაცვის)
სტატისტიკისა და საბეითალო ოთხელ კვი-
რეულ ჟურნალი

„მეურნე“

გამოიცემა ქუთაისში ახალის რედაქციისგან
ხელ მოსაწერი ფასი: წლით ხუთი მანეთი
ნახევარი წლით სამი მანეთი.

წლიურს სოფლელ ხელის მომწერს რედაქცია
უსასყიდლოდ შეუტეობს ცნობებს (სპრავკებს)
ქუთაისში ოთხელს გვარს საჯარო ადგილებში.

ადრესი: Кутаисъ. Въ редакцію „МЕУРНЭ“
რედაქტორ გამომცემელი ილია ზეონია